



ერთპილოტიანი / მრავალპილოტიანი შვეულმფრენის უნარების / საკვალიფიკაციო შემოწმებაზე განაცხადი
Single-Pilot/Mult-Pilot Helicopter SKILL TEST/PROFICIENCY CHECK APPLICATION

განმცხადებლის გვარი: Applicant's last name(s):	საჰაერო ხომალდის ტიპი: Aircraft Type:	SE-SP: H <input type="checkbox"/>	ME-SP: H <input type="checkbox"/>
განმცხადებლის სახელი: Applicant's first name(s):	ექსპლუატაცია: Operations:	SE-MP: H <input type="checkbox"/>	ME-MP: H <input type="checkbox"/>
მოწმობის ტიპი: Type of licence held:	კითხვარი: Checklist:	სასწავლო დოკუმენტები/Training record <input type="checkbox"/>	ტიპის ოსტატობა/ Type rating: <input type="checkbox"/>
მოწმობის ნომერი: Licence number:		უნარების შემოწმება: Skill test: <input type="checkbox"/>	
გამცემი სახელმწიფო: State of licence issue:		სახელსაწყო ფრენა: Instrument rating: <input type="checkbox"/>	
სამედიცინო სერტიფიკატის № / Medical №:		საკვალიფიკაციო შემოწმება: Proficiency check: <input type="checkbox"/>	
სამედიცინო სერტ. კლასი: Medical Cert. class:	მოქმედების ვადა/Validity:		
საცხოვრებელი მისამართი/ Home Address:			
ტელეფონი: (სახლის, მობილურის) / Contact information:		ელექტრონული მისამართი/Email address:	
საერთო ნაფრენი: Total flight time:	საერთო ნაფრენი სთ უკანასკნელ 12 თვეში: Flight time within last 12 month:	სექტორი: Sector:	
განმცხადებლის ხელმოწერა: Signature of applicant:			
1. სხ-ის ტიპზე თეორიული სწავლების პერიოდი/ Theoretical training for the issue of a type rating performed during period:			
დან/from:	მდე/to:	მდებარეობა/AT:	
ნიშანი (მინიმალური ნიშანი ≥ 75%): Mark obtained: (Pass mark ≥ 75%)	მოწმობის დასახელება და ნომერი: Type and number of licence:		
სდ უფროსის სახელი გვარი: Name Surname of HT:	სდ-ს უფროსის ხელმოწერა/Signature of HT:		
2. საწაფზე სწვთნა/FSTD:			
საწაფი(საჰაერო ხომალდის ტიპი) FSTD (aircraft type):	3 ან მეტი ღერძი / Three or more axes: დიახ / Yes <input type="checkbox"/> არა / No <input type="checkbox"/>		მომზადებულია: Ready for service and used:
FSTD მწარმოებელი: FSTD manufacturer:	მოძრაობის სისტემა: Motion or system:	თვალსაჩინოებები / Visual aid: დიახ/Yes <input type="checkbox"/> არა / No <input type="checkbox"/>	
FSTD ექსპლუატანტი: FSTD operator:	დონე: Level:	FSTD ID კოდი: FSTD ID code:	



მომზადების დრო / პილოტირება: Total training time / at the controls:		Instrument approaches at aerodromes to a decision altitude or height of:			
ადგილმდებარეობა,თარიღი: Location, date and time:		ინსტრუქტორის მოწმობის ტიპი და ნომერი: Type and number of licence of instructor:			
სხ-ის ტიპზე წვრთნის/ოსტატობის ინსტრუქტორი Type rating instructor					
ინსტრუქტორის ხელმოწერა: Signature of instructor:		სახელი, გვარი გარკვევით: Name(s) in capital letters:			
3. საფრენოსნო წვრთნა/ Flight training:					
წვრთნა ჩატარდა: სხ-ზე/ in the aircraft <input type="checkbox"/>			საწაფზე/(ZFTT) in the FSTD (for ZFTT) <input type="checkbox"/>		
საჰაერო ხომალდის ტიპი : Type of aircraft:		რეგისტრაცია: Registration:		საფრენოსნო დრო: Flight time at the controls:	
აფრენა: Take-offs:	დაფრენა: Landings:	საწვრთნელი აეროდრომები ან ქალაქები (აფრენა,მიდგომა,დაფრენა): Training aerodromes or sites (take-offs, approaches and landings):			
აფრენის დრო: Take-off time:		დაფრენის დრო: Landing time:			
ადგილმდებარეობა და თარიღი: Location and date:		ინსტრუქტორის მოწმობის დასახელება და ნომერი: Type and number of licence held of instructor:			
სხ-ის ტიპზე წვრთნის/ოსტატობის ინსტრუქტორი: Type rating instructor:					
ინსტრუქტორის ხელმოწერა: Signature of instructor:		სახელი,გვარი გარკვევით: Name(s) in capital letters:			
4. უნარების შემოწმება,საკვალიფიკაციო შემოწმება/Skill test, Proficiency Check:					
უნარების შემოწმება/ Skill test: <input type="checkbox"/>			საკვალიფიკაციო შემოწმება/Proficiency check: <input type="checkbox"/>		
შემოწმებუ-ლია / Checked in:	სხ/Aircraft <input type="checkbox"/>	სხ-ს რეგისტრაცია: aircraft registration:		ტიპი: Type:	
	საწაფი / FSTD: <input type="checkbox"/>	საწაფის რეგისტრაცია: SIM registration:		დონე: Level:	
აეროდრომი ან ქალაქი: Aerodrome or site:		ფრენის საერთო დრო: Total flight time:			
აფრენის დრო: Take-off time:		დაფრენის დრო: Landing time:			
ჩააბარა / Pass <input type="checkbox"/>	ვერ ჩააბარა / Fail <input type="checkbox"/>	მოვალეობები: Duties:	PIC <input type="checkbox"/>	F/O <input type="checkbox"/>	
წარუმატებლობის მიზეზები: Reason(s) why, if failed:					
ადგილმდებარეობა და თარიღი: Location and date:		გამომცდელის მოწმობის ნომერი : Examiner's certificate number (if applicable):			
მოწმობის დასახელება და ნომერი: Type and number of licence:		სახელი,გვარი გარკვევით: Name(s) in capital letters:			
გამომცდელის ხელმოწერა: Signature of examiner:					



მუხლი 1. ძირითადი დებულებები

1. უნარების შემოწმებაზე გამსვლელ აპლიკანტს მომზადება უნდა ქონდეს გავლილი კლასისა და ტიპის საჰაერო ხომალდზე, რომლის გამოყენებაც მოხდება შემოწმებისას.
2. ორი მცდელობით შემოწმების ყველა ნაწილის ვერ ჩაბარების შემთხვევაში საჭირო იქნება დამატებითი მომზადება/წვრთნა.
3. უნარების შემოწმების ჩაბარების მცდელობები რაოდენობაში შეზღუდული არ არის.

მუხლი 2. უნარების და საკვალიფიკაციო შემოწმების შინაარსი

1. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული მწარმოებლის დადგენილი ექსპლოატაციისთვის ვარგისიანობის მონაცემებით, საფრენოსნო სწავლების სილაბუსი უნდა შესაბამებოდეს წინამდებარე დანართს. მწარმოებლის მიერ დადგენილი ექსპლოატაციისთვის ვარგისიანობის მონაცემების თანახმად სილაბუსის შემცირება შესაძლებელია მოხდეს იმ შემთხვევაში თუ კრედიტის გაცემა ხდება მსგავს საჰაერო ხომალდის სახეობებზე არსებული გამოცდილებისთვის.
2. გარდა ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის გასაცემად ჩატარებული უნარების შემოწმების შემთხვევისა, როცა მწარმოებლის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად კონკრეტული სახეობისთვის დადგენილი ექსპლოატაციისთვის ვარგისიანობის მონაცემები ამგვარად განსაზღვრავს, კრედიტი შეიძლება გაიცეს უნარების შემოწმების ისეთ კომპონენტებზე, რომლებიც საერთოა სხვა ტიპის ან ვარიანტების საჰაერო ხომალდზე და რომლებზეც პილოტი უკვე კვალიფიცირებულია.

მუხლი 3. შემოწმების ჩატარება

1. უფროს პილოტ ინსტრუქტორს შეუძლია არჩევანი გააკეთოს უნარების შემოწმების ან საკვალიფიკაციო შემოწმების ჩატარების სხვადასხვა სცენარებს შორის, რომლებიც სააგენტოს მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ შესაბამის ოპერაციებს მოიცავს. ამ წესის შესაბამისად, გამოყენებული უნდა იყოს სრულპილოტაჟიანი საწაფები და სხვა დანადგარები, თუ ხელმისაწვდომია.
2. უნარების შემოწმების დროს უფროსი პილოტ ინსტრუქტორი ადასტურებს რომ კლასის ან ტიპის ოსტატობის მფობელი ინარჩუნებს თეორიული ცოდნის სათანადო დონეს.
3. თუ აპლიკანტის ინიციატივით მოხდება უნარების შემოწმების შეწყვეტა ისეთი მიზეზებით, რომლებსაც უფროსი პილოტ ინსტრუქტორი არ მიიჩნევს ადეკვატურად, მაშინ აპლიკანტი ვალდებული იქნება მთლიანად ხელახლა ჩააბაროს უნარების შემოწმება. თუ გამოცდის შეწყვეტის მიზეზები უფროსი პილოტ ინსტრუქტორი მიერ ადეკვატურად ჩათვლება, მაშინ შემდგომი ფრენის დროს მოხდება მხოლოდ იმ ნაწილებში შემოწმება, რომლის დასრულებაც ვერ მოხერხდა წინა მცდელობისას.
4. უფროსი პილოტის ინსტრუქტორი გადაწყვეტილებით აპლიკანტს შესაძლოა მოუხდეს გამოცდის ნებისმიერი მანერის ან პროცედურის კიდევ ერთხელ, განმეორებით შესრულება. უფროსი პილოტ ინსტრუქტორს შეუძლია გამოცდა შეწყვიტოს მსველელობის ნებისმიერ ეტაპზე, თუკი ჩათვლება რომ აპლიკანტის მიერ ნაჩვენები საფრენოსნო უნარები მთელი გამოცდის თავიდან ჩაბარებას საჭიროებს.
5. აპლიკანტი საჰაერო ხომალდის ფრენას ახორციელებს პოზიციიდან, სადაც მეთაურის ან მეორე პილოტის ფუნქციების, სიტუაციის შესაბამისად, შესრულებას შესაძლებელი და გამოცდას აბარებს ისე, რომ თითქოს ეკიპაჟის სხვა წევრები იქ არ იმყოფებიან, იმ შემთხვევაში როცა გამოცდა/შემოწმება ტარდება ერთპილოტიანი პირობების გათვალისწინებით. ფრენაზე პასუხისმგებლობის განაწილება ხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.
6. გამოცდაზე წინა საფრენოსნო მომზადების დროს აპლიკანტმა უნდა განსაზღვროს სიმძლავრის პარამეტრები და სიჩქარეები. აპლიკანტმა უფროსი პილოტ ინსტრუქტორს უნდა უჩვენოს შესრულებული საკონტროლო შემოწმებები და მოვალეობები, მათ შორის რადიოტექნიკური კომპლექსის იდენტიფიცირება. საკონტროლო შემოწმებები უნდა იქნას განხორციელებული ავტორიზებული საკონტროლო სიის მიხედვით, რომელიც გამიზნულია იმ საჰაერო ხომალდისათვის, რომელზეც ხორციელდება გამოცდის ჩატარება და MCC კონცეფციით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აფრენის, შესვლის/მიახლოვებისა და დაშვების შესრულების მონაცემების გამოთვლა მოხდება აპლიკანტის მიერ გამოყენებული საჰაერო ხომალდის შესახებ ექსპლოატაციის სახელმძღვანელოს ან საფრენოსნო სახელმძღვანელოსთან შესაბამისად. გადაწყვეტილების მიღების სიმაღლეს/ალტიტუდას, დაშვების მინიმალურ სიმაღლეებს/ალტიტუდებსა და არასწორი შესვლის/მიახლოვების წერტილს განსაზღვრავს აპლიკანტი უფროსი პილოტ ინსტრუქტორთან შეთანხმებით.
7. უფროსი პილოტ ინსტრუქტორი არ იღებს მონაწილეობას საჰაერო ხომალდის მართვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჩარევა აუცილებელი ხდება უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ან საჰაერო მიმოსვლაში არასასურველი დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით.

მუხლი 4. განსაკუთრებული მოთხოვნები ვერტმფრენის კატეგორიისთვის

1. ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის ან ტიპის ოსტატობის მიღების მიზნით ჩატარებული უნარების შემოწმების ან საკვალიფიკაციო შემოწმების შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს უნარების შემოწმების ან საკვალიფიკაციო შემოწმების 1-დან 4-მდე ნაწილები და ასევე ნაწილი 6 (საჭიროების შესაბამისად). ხუთზე მეტ ელემენტში ჩაჭრის შემთხვევაში აპლიკანტმა თავიდან უნდა ჩააბაროს მთლიანი გამოცდა თუ შემოწმება. ხუთზე ნაკლებ ელემენტში ჩაჭრის დროს კი აპლიკანტი ხელახლა აბარებს მხოლოდ იმ ელემენტებს, რომლებშიც ჩაიჭრა. გამოცდის ან შემოწმების განმეორებით ჩაბარებისას რომელიმე ელემენტში ჩაჭრის შემთხვევაში, მათ შორის იმ ელემენტებშიც, რომლებიც წინა მცდელობაზე წარმატებით იქნა გადალახული, აპლიკანტი ვალდებული იქნება მთლიანი გამოცდა ან შემოწმება ჩააბაროს ხელახლა. უნარების შემოწმების ან საკვალიფიკაციო შემოწმების ყველა ნაწილის ჩაბარება უნდა დასრულდეს 6 თვის ვადაში. 2. სახელსაწყო ოსტატობის მიზნით ჩატარებული საკვალიფიკაციო შემოწმების შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო შემოწმების ნაწილი 5. სამზე მეტ ელემენტში ჩაჭრის შემთხვევაში აპლიკანტმა მთლიანად თავიდან უნდა ჩააბაროს ნაწილი 5. სამზე ნაკლებ ელემენტში ჩაჭრის დროს კი აპლიკანტი ხელახლა აბარებს მხოლოდ იმ ელემენტებს, რომლებშიც ჩაიჭრა. შემოწმების განმეორებით ჩაბარებისას რომელიმე ელემენტში ჩაჭრის შემთხვევაში, მათ შორის იმ ელემენტებშიც, რომლებიც წინა მცდელობაზე წარმატებით იქნა გადალახული, აპლიკანტი ვალდებული იქნება მთლიანი შემოწმება ჩააბაროს ხელახლა.

მუხლი 5. დასაშვები ნორმიდან გადახრა (Tolerance) უნარების ან საკვალიფიკაციო შემოწმების დროს

1. აპლიკანტმა უნდა წარმოაჩინოს უნარი:
 - ა) მართოს შევლმფრენი მისი შესაძლებლობების ფარგლებში;
 - ბ) შეასრულოს ყველა მანევრი სიზუსტით და დაუბრკოლებლად;



- გ) გამოიყენოს სადი აზროვნება და საფრენოსნო ოსტატობა;
 - დ) გამოიყენოს აერონავიგაციული ცოდნა;
 - ე) ყოველთვის შეძლოს კონტროლი შეინარჩუნოს შვეულმფრენზე იმგვარად რომ მოქმედების ან მანევრის წარმატებულად დასრულება არასოდეს დადგეს ეჭვის ქვეშ;
 - ვიცოდეს და გამოიყენოს ეკიპაჟის მოქმედების კოორდინაციისა და შრომის უუნარობის შესახებ პროცედურები, ასეთის არსებობის შემთხვევაში; და
 - ზ) დაამყაროს ეფექტური კომუნიკაცია ეკიპაჟის სხვა წევრებთან, საჭიროებისამებრ.
2. შემდეგი შეზღუდვების გავრცელება და ჩასწორება მოხდება ტურბულენტური პირობებისა და გამოყენებული შვეულმფრენის მართვის თავისებურებებისა და შესრულების გათვალისწინებით.
- IFR საფრენოსნო შეზღუდვები სიმაღლე:
- ზოგადად ± 100 ფუტი
 - გადაწყვეტილების მიღების სიმაღლეზე მეორე წრეზე წასვლის დაწყება + 50 ფუტი/- 0 ფუტი
 - დაშვების მინიმალური სიმაღლე + 50 ფუტი/- 0 ფუტი მონიტორინგი (Tracking)
 - რადიო ხელსაწყოებით ± 5°
 - რადიოლოკაციური სადგურის სიზუსტით შესვლა/მიახლოება ნახევრად გადახრა, აზიმუტი და ლივლივით/ცურვით დაშვების ტრაექტორია კურსი/მიმართულება:
 - ნორმალური ფუნქციონირება ± 5°
 - განსაკუთრებული და საგანგებო სიტუაცია ± 10°
 - სიჩქარე:
 - ზოგადად ± 10 კვანძი
 - იმიტირებული ძრავის გამორთვით/დაზიანებით VFR საფრენოსნო შეზღუდვები სიმაღლე: + 10 კვანძი/- 5 კვანძი
 - ზოგადად კურსი/მიმართულება: ± 100 ფუტი
 - ნორმალური ფუნქციონირება ± 5°
 - განსაკუთრებული და საგანგებო სიტუაცია ± 10°
 - სიჩქარე:
 - ზოგადად ± 10 კვანძი
 - იმიტირებული ძრავის გამორთვით/დაზიანებით + 10 კვანძი/- 5 კვანძი
 - ხმელეთზე დრეიფი (აცდენა კურსიდან ქარის დინების გავლენით): T.O. ჰაერში დაკიდების რეჟიმი I.G.E. ± 3 ფუტი დაშვება ± 2 ფუტი (0 ფუტით უკან ან გვერდით ფრენით)

მუხლი 6. სწავლების/უნარების და საკვალიფიკაციო შემოწმების შინაარსი.

1. შემდეგი სიმბოლოები ნიშნავს:
P = მომზადებულია PIC(მეთაურად) ერთპილოტიან საჰაერო ხომალდის ოსტატობის გაცემისთვის ან მომზადებულია PIC(მეთაურად) ან მეორე პილოტად და PF და PNF მრავალპილოტიან საჰაერო ხომალდის ოსტატობის გაცემისთვის.
2. პრაქტიკული წვრთნა უნდა ჩატარდეს მინიმუმ ისეთი დონის საწვრთნელ დანადგარზე, რომელზეც ნაჩვენებია (P), ან ნებისმიერ უფრო მაღალი დონის დანადგარზე, რომელზეც ნაჩვენებია ისარი (—>). შემდეგი აბრევიატურები გამოიყენება საწვრთნელი დანადგარების აღსანიშნავად: FFS = სრულპილოტაჟიანი საწაფი; FTD = საფრენოსნო საწვრთნელი მოწყობილობა; H = შვეულმფრენი
3. ფიქვით მონიშნული ელემენტები(*) სრულდება რეალურ ან იმიტირებულ IMC-ში, მხოლოდ იმ აპლიკანტების მიერ, რომელთაც სურთ განახლოონ ან ცვლილება შეიტანონ IR (H)-ის მოქმედების ვადაში, ან ამ რეიტინგის პრივილეგიები (უფლებები) გააფართოონ სხვა სახეობაზე.
4. სახელსაწყო ფრენის პროცედურები (ნაწილი 5) უნდა შეასრულონ მხოლოდ იმ აპლიკანტებმა, რომელთაც სურთ განახლოონ ან ცვლილება შეიტანონ IR (H)-ის მოქმედების ვადაში, ან ამ ოსტატობის უფლებები გააფართოონ სხვა სახეობაზე. ამ მიზნით შეიძლება FFS-ის ან FTD 2/3 -ის გამოყენება.
5. უნარების თუ საკვალიფიკაციო შემოწმების სვეტში სადაც "M" იქნება მითითებული, ნიშნავს სავალდებულო სავარჯიშოს.
6. FSTD უნდა გამოიყენებოდეს პრაქტიკულ წვრთნებსა და გამოცდაში, იმ შემთხვევაში, თუ FSTD წარმოადგენს სახეობის რეიტინგის კურსის ნაწილს. კურსში მოხდება შემდეგის გათვალისწინება: ა) FSTD -ს კვალიფიკაცია;
- ბ) ინსტრუქტორისა და უფროსი პილოტ ინსტრუქტორის კვალიფიკაციები;
- გ) კურსში FSTD წვრთნების რაოდენობა;
- დ) კვალიფიკაციები და გამოცდილება მსგავს სახეობებში, რომელიც პილოტს გააჩნია წვრთნის ეტაპისთვის; და
- ე) ზედამხედველობის ქვეშ ფრენის გამოცდილების ოდენობა ახალი სახეობის რეიტინგის გაცემის შემდეგ. მრავალპილოტიანი შვეულმფრენი
7. მრავალპილოტიანი შვეულმფრენის ოსტატობის ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის აღებით დაინტერესებული აპლიკანტები აბარებენ მხოლოდ 1-დან 4-მდე ნაწილებს და, საჭიროებისამებრ, ნაწილ 6-ს.
8. მრავალპილოტიანი შვეულმფრენის ოსტატობის ვადის აღდგენის ან მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში აპლიკანტები აბარებენ მხოლოდ 1-დან 4-მდე ნაწილებს და, საჭიროებისამებრ, ნაწილ 6-ს.

Article 1. General

1. An applicant for a skill test shall have received instruction on the same class or type of aircraft to be used in the test.
2. Failure to achieve a pass in all sections of the test in two attempts will require further training.
3. There is no limit to the number of skill tests that may be attempted.

Article 2. CONTENT OF THE TRAINING, SKILL TEST/PROFICIENCY CHECK

1. Unless otherwise determined in the operational suitability data established in accordance with Part-21, the syllabus of flight instruction, the skill test and the proficiency check shall comply with this Appendix. The syllabus, skill test and proficiency check may be reduced to give credit for previous experience on similar aircraft types, as determined in the operational suitability data established in accordance with Part-21.



2. Except in the case of skill tests for the issue of an ATPL, when so defined in the operational suitability data established in accordance with Part-21 for the specific aircraft, credit may be given for skill test items common to other types or variants where the pilot is qualified.

Article 3. CONDUCT OF THE TEST/CHECK

1. The examiner may choose between different skill test or proficiency check scenarios containing simulated relevant operations developed and approved by the competent authority. Full flight simulators and other training devices, when available, shall be used, as established in this Part.
2. During the proficiency check, the examiner shall verify that the holder of the class or type rating maintains an adequate level of theoretical knowledge.
3. Should the applicant choose to terminate a skill test for reasons considered inadequate by the examiner, the applicant shall retake the entire skill test. If the test is terminated for reasons considered adequate by the examiner, only those sections not completed shall be tested in a further flight.
4. At the discretion of the examiner, any manoeuvre or procedure of the test may be repeated once by the applicant. The examiner may stop the test at any stage if it is considered that the applicant's demonstration of flying skill requires a complete re-test.
5. An applicant shall be required to fly the aircraft from a position where the PIC or co-pilot functions, as relevant, can be performed and to carry out the test as if there is no other crew member if taking the test/check under single-pilot conditions. Responsibility for the flight shall be allocated in accordance with national regulations.
6. During pre-flight preparation for the test the applicant is required to determine power settings and speeds. The applicant shall indicate to the examiner the checks and duties carried out, including the identification of radio facilities. Checks shall be completed in accordance with the check-list for the aircraft on which the test is being taken and, if applicable, with the MCC concept. Performance data for take-off, approach and landing shall be calculated by the applicant in compliance with the operations manual or flight manual for the aircraft used. Decision heights/altitude, minimum descent heights/altitudes and missed approach point shall be agreed upon with the examiner.
7. The examiner shall take no part in the operation of the aircraft except where intervention is necessary in the interests of safety or to avoid unacceptable delay to other traffic.

Article 4. Specific requirements for the helicopter category

In case of skill test or proficiency check for type ratings and the ATPL the applicant shall pass sections 1 to 4 and 6 (as applicable) of the skill test or proficiency check. Failure in more than five items will require the applicant to take the entire test or check again. An applicant failing not more than five items shall take the failed items again. Failure in any item of the re-test or re-check or failure in any other items already passed will require the applicant to take the entire test or check again. All sections of the skill test or proficiency check shall be completed within 6 months. 2. In case of proficiency check for an IR the applicant shall pass section 5 of the proficiency check. Failure in more than three items will require the applicant to take the entire section 5 again. An applicant failing not more than three items shall take the failed items again. Failure in any item of the re-check or failure in any other items of section 5 already passed will require the applicant to take the entire check again.

Article 5. FLIGHT TEST TOLERANCE

1. The applicant shall demonstrate the ability to:
 - (a) operate the helicopter within its limitations;
 - (b) complete all manoeuvres with smoothness and accuracy;
 - (c) exercise good judgement and airmanship;
 - (d) apply aeronautical knowledge;
 - (e) maintain control of the helicopter at all times in such a manner that the successful outcome of a procedure or manoeuvre is never in doubt;
 - (f) understand and apply crew coordination and incapacitation procedures, if applicable; and (g) communicate effectively with the other crew members, if applicable.
2. The following limits shall apply, corrected to make allowance for turbulent conditions and the handling qualities and performance of the helicopter used. (a) IFR flight limits
Height: Generally ± 100 feet
Starting a go-around at decision height/altitude +50 feet/-0 feet Minimum descent height/altitude +50 feet/-0 feet Tracking: On radio aids $\pm 5^\circ$
Precision approach half scale deflection, azimuth and glide path Heading:
Normal operations $\pm 5^\circ$
Abnormal operations/emergencies $\pm 10^\circ$ Speed:
Generally ± 10 knots
With simulated engine failure +10 knots/-5 knots (b) VFR flight limits
Height: Generally ± 100 feet
Heading: Normal operations $\pm 5^\circ$; Abnormal operations/emergencies $\pm 10^\circ$ Speed:
Generally ± 10 knots
With simulated engine failure +10 knots/-5 knots Ground drift:
T.O. hover I.G.E. ± 3 feet
Landing ± 2 feet (with 0 feet rearward or lateral flight)

Article 6. CONTENT OF THE TRAINING/SKILL TEST/PROFICIENCY CHECK

1. The following symbols mean: P = Trained as PIC for the issue of a type rating for SPH or trained as PIC or Co-pilot and as PF and PNF for the issue of a type rating for MPH.
 2. The practical training shall be conducted at least at the training equipment level shown as (P), or may be conducted up to any higher equipment level shown by the arrow (\rightarrow).
- The following abbreviations are used to indicate the training equipment used: FFS = Full Flight Simulator; FTD = Flight Training Device; H = Helicopter;
3. The starred items (*) shall be flown in actual or simulated IMC, only by applicants wishing to renew or revalidate an IR(H), or extend the privileges of that rating to another type.



4. Instrument flight procedures (section 5) shall be performed only by applicants wishing to renew or revalidate an IR(H) or extend the privileges of that rating to another type. An FFS or FTD 2/3 may be used for this purpose.
5. Where the letter 'M' appears in the skill test or proficiency check column this will indicate the mandatory exercise.
6. An FSTD shall be used for practical training and testing if the FSTD forms part of a type rating course. The following considerations will apply to the course:
 - (i) the qualification of the FSTD as set out in the relevant requirements of Part-ARA and Part-ORA;
 - (ii) the qualifications of the instructor and examiner;
 - (iii) the amount of FSTD training provided on the course;
 - (iv) the qualifications and previous experience in similar types of the pilot under training; and (v) the amount of supervised flying experience provided after the issue of the new type rating.
7. Applicants for the skill test for the issue of the multi-pilot helicopter type rating and ATPL(H) shall take only sections 1 to 4 and, if applicable, section 6. Applicants for the revalidation or renewal of the multi-pilot helicopter type rating proficiency check shall take only sections 1 to 4 and, if applicable, section 6

განმცხადებლის სახელი, გვარი: Applicant's name(s):		უნარების/საკვალიფიკაციო შემოწმების თარიღი: Skill test/ Proficiency check date:				
ერთპილოტიანი / მრავალპილოტიანი შვეულმფრენზე უნარების / საკვალიფიკაციო შემოწმების ფორმა Single-Pilot/Multy-Pilot Helicopter SKILL TEST/PROFICIENCY CHECK FORM	პრაქტიკული სწავლება Practical Training				უნარების შემოწმება /საკვალიფიკაციო შემოწმება Skill test or Proficiency Check	
	FTD	FFS	H	ინსტრუქტორის ინიციალები წვრთნის დასრულებისას Instructor Signature when Training Complete	შემოწმება გან- ხორციელდა Checked in: FFS H	უფროსი პილოტ ინსტრუქტორის ინიციალები შე- მოწმების დასრუ- ლებისას/Examiner initials when test completed
ნაწილი 1 - აფრენამდე განსახორციელებელი მომზადება და შემოწმებები/Section 1 - Pre-flight preparations and checks						
1.1 ვერტმფრენის გარეგანი ვიზუალური შემოწმება; თითოეული ნაწილის მდებარეობა და შემოწმების მიზანი Helicopter exterior visual inspection; location of each item and purpose of inspection			P		M (თუ ტარდება შვეულმფრენზე)	
1.2 პილოტის კაბინის შემოწმება/ Cockpit inspection		P	->		M	
1.3 საწყისი პროცედურები, რადიო და ნავიგაციური დანადგარების შემოწმება, ნავიგაციური და საკომუნიკაციო სიხშირეების შერჩევა და დაყენება/ Starting procedures, radio and navigation equipment check, selection and setting of navigation and communication frequencies	P	->	->		M	
1.4 ხმელეთზე მიმოსვლა/დაბალი სიჩქარით ფრენა საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის ან ინსტრუქტორის მიერ გაცემული ინსტრუქციების შესაბამისად/ Taxiing/air taxiing in compliance with air traffic control instructions or with instructions of an instructor		P	->		M	
1.5 აფრენამდე ჩასატარებელი შემოწმებები და პროცედურები/ Pre-take-off procedures and checks	P	->	->		M	
ნაწილი 2 — საფრენოსანო მანევრები და პროცედურები/Section 2 - Flight manoeuvres and procedures						
2.1 აფრენების განხორციელება (სხვადასხვა პროფილის)/ Take-offs (various profiles)		P	->		M	
2.2 დახრილ ტერიტორიაზე ან გვერდითა ქარით აფრენების და დაშვებების განხორციელება/ Sloping ground or crosswind take-offs & landings		P	->			
2.3 აფრენა მაქსიმალური ასაფრენი მასით (რეალური ან იმიტირებული მაქსიმალური ასაფრენი მასა)/ Take-off at maximum take-off mass (actual or simulated maximum take-off mass)	P	->	->			
2.4 აფრენები იმიტირებული ძრავის გამორთვით /დაზიანებით აფრენიდან მალევე ვიდრე TDP-მდე ან DPATO-მდე მიაღწევს/ Take-off with simulated engine failure shortly before reaching TDP or DPATO		P	->		M	



განმცხადებლის სახელი, გვარი: უნარების/საკვალიფ. შემოწმების თარიღი:
 Applicant's name(s): Skill test/ Proficiency check date:

ერთპილოტიან /მრავალპილოტიან შვეულმფრენზე უნარების / საკვალიფიკაციო შემოწმების ფორმა Single-Pilot/Multy-Pilot Helicopter SKILL TEST/PROFICIENCY CHECK FORM	პრაქტიკული სწავლება Practical Training				უნარების შემოწმება /საკვალიფიკაციო შემოწმება Skill test or Proficiency Check	
	FTD	FFS	H	ინსტრუქტორის ინიციალები წვრთნის დასრულებისას Instructor Signature when Training Complete	შემოწმება გან- ხორციელდა Checked in: FFS H	უფროსი პილოტ ინსტრუქტორის ინიციალები შე- მოწმების დასრუ- ლებისას/Examiner initials when test completed
მანევრები/პროცედურები Manoeuvres / Procedures						
2.4.1 აფრენები იმიტირებული მრავის გამორთვით/დაზიანებით TDP-მდე ან DPATOმდე მიღწევიდან მალევე/ Take-off with simulated engine failure shortly after reaching TDP or DPATO		P	->		M	
2.5 ასვლითი და დაღმასვლითი მობრუნებები განსაზღ- ვრულ მიმართულებებში/ Climbing and descending turns to specified headings	P	->	->		M	
2.5.1 მობრუნებები 30° დაგვერდებით, 180°-დან 360°-მდე მარცხნივ და მარჯვნივ, მხოლოდ ხელსაწყოების გამოყე- ნებით/ Turns with 30° bank, 180°to 360° left and right, by sole reference to instruments	P	->	->		M	
2.6 ავტოროტაციის რეჟიმში დაღმასვლა/ Autorotative descent	P	->	->		M	
2.6.1 ავტოროტაციის რეჟიმში დაფრენა (მხოლოდ ერთმრავიანზე შვეულმფრენზე) ან სიმძრავლის აღდგენა/Autorotative landing (SEH only) or power recovery		P	->		M	
2.7 დაშვებები, სხვადასხვა პროფილით/ Landings, various profiles		P	->		M	
2.7.1 მეორე წრეზე წასვლა ან დაფრენა მრავის იმიტირე- ბული მტყუნების შემდეგ, LDP-მდე ან DPBL-მდე / Go- around or landing following simulated engine failure before LDP or DPBL		P	->		M	
2.7.2 დაფრენა მრავის იმიტირებული მთყუნებით, LDP- ის ან DPBL-ის შემდეგ/ Landing following simulated engine failure after LDP or DPBL		P	->		M	

**ნაწილი 3 — შემდეგი სისტემებისა და პროცედურების ნორმალური და არანორმალური ფუნქციონირება /
Section 3 Normal and abnormal operations of the following systems and procedures**

3. შემდეგი სისტემების სტანდარტული და განსაკუთრებული ექსპლუატაცია და პროცედურები/ Normal and abnormal operations of the following systems and procedures					M mandatory mini- mum of 3 items shall be selected from this section	ამ ნაწილიდან მი- ნიმუმ სამი ელე- მენტის შერჩევა სავალდებულოა
3.1 ძრავი/ Engine	P	->	->			
3.2 ჰაერის კონდიციონირება (გათბობა, ვენტილაცია) Air conditioning (heating, ventilation)	P	->	->			
3.3 სრული წნევის/სტატიკური წნევის სისტემა / Pitot/static system	P	->	->			
3.4 საწვავის სისტემა/ Fuel System	P	->	->			
3.5 ელექტრული სისტემა/ Electrical system	P	->	->			
3.6 ჰიდრავლიკური სისტემა/ Hydraulic system	P	->	->			
3.7 ფრენის მართვისა და ტრიმერების სისტემა/ Flight control and Trim system	P	->	->			



განმცხადებლის სახელი, გვარი:

უნარების/საკვალიფ. შემოწმების თარიღი:

Applicant's name(s):

Skill test/ Proficiency check date:

ერთპილოტიან /მრავალპილოტიან შვეულმფრენზე უნარების / საკვალიფიკაციო შემოწმების ფორმა Single-Pilot/Multy-Pilot Helicopter SKILL TEST/PROFICIENCY CHECK FORM	პრაქტიკული სწავლება Practical Training				უნარების შემოწმება /საკვალიფიკაციო შემოწმება Skill test or Proficiency Check	
	FTD	FFS	H	ინსტრუქტორის ინიციალები წვრთნის დასრულებისას Instructor Signature when Training Complete	შემოწმება გან- ხორციელდა Checked in: FFS H	უფროსი პილოტ ინსტრუქტორის ინიციალები შე- მოწმების დასრუ- ლებისას/Examiner initials when test completed
მანევრები/პროცედურები Manoeuvres / Procedures						
3.8 გაყინვისგან დაცვის/გაყინვის საწინააღმდეგო სისტემა/ Anti-icing and de-icing system	P	->	->			
3.9 ავტოპილოტი/ავტომატური ფრენის კონტროლის მოწყობილობა / Autopilot/Flight director	P	->	->			
3.10 სტაბილურობის მომმატებელი მოწყობილობა /stability augmentation devices	P	->	->			
3.11 მეტეო რადარი, რადიო ალტიმეტრი, ტრანსპონდერი/ Weather radar, radio altimeter, transponder	P	->	->			
3.12 ტერიტორიის სანავიგაციო სისტემა/ Area Navigation System	P	->	->			
3.13 შასის სისტემა/ Landing gear system	P	->	->			
3.14 დამხმარე სიმძლავრის დანადგარი/ Auxiliary power unit	P	->	->			
3.15 რადიომოწყობილობები, ნავიგაციური მოწყობილობები, სახელსაწყოო ფრენის მართვის სისტემა/ Radio, navigation equipment, instruments flight management system	P	->	->			

ნაწილი 4 — არანორმალური და საგანგებო სიტუაციის პროცედურები/Section 4 - Abnormal and emergency procedures

4. განსაკუთრებული და ავარიული სიტუაციის პროცედურები/ Abnormal and emergency procedures					M Mandatory minimum of 3 items shall be selected from this section	ამ ნაწილიდან მინიმუმ სამი ელემენტის შერჩევა სავალდებულოა
4.1 ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების გამოყენება (ევაკუაციის ჩათვლით საჭიროებისამებრ) /Fire drills (including evacuation if applicable)	P	->	->			
4.2 კვამლის კონტროლი და მისი მოცილება/ Smoke control and removal	P	->	->			
4.3 ძრავის გაუმართაობა, გამორთვა და ხელახლა გაშვება უსაფრთხო სიმაღლეზე /Engine failures, shutdown and restart at a safe height	P	->	->			
4.4 საწვავის ავარიული ჩამოსხმა (იმიტირებული) /Fuel dumping (simulated)	P	->	->			
4.5 კუდის ხრახნის მართვის მწყობრიდან გამოსვლა (თუ შესაძლებელია)/ Tail rotor control failure (if applicable)	P	->	->			
4.5.1 კუდის ხრახნის ეფექტურობის დაკარგვა (თუ შესაძლებელია)/ Tail rotor loss (if applicable)	P	->	->	ამ სავარჯიშოსთვის შვეულმფრენი არ უნდა იქნას გამოყენებული	Helicopter may not be used for this exercise	
4.6 ეკიპაჟის წევრის შრომის უნარიანობის დაკარგვა - მხოლოდ მრავალპილოტიან შვეულმფრენზე/ Incapacitation of crew member – MPH only	P	->	->			
4.7 ტრანსმისიის გაუმართაობა/ Transmission malfunctions	P	->	->			



განმცხადებლის სახელი, გვარი: უნარების/საკვალიფ. შემოწმების თარიღი:
 Applicant's name(s): Skill test/ Proficiency check date:

ერთპილოტიან /მრავალპილოტიან შვეულმფრენზე უნარების / საკვალიფიკაციო შემოწმების ფორმა Single-Pilot/Multy-Pilot Helicopter SKILL TEST/PROFICIENCY CHECK FORM	პრაქტიკული სწავლება Practical Training				უნარების შემოწმება /საკვალიფიკაციო შემოწმება Skill test or Proficiency Check	
	FTD	FFS	H	ინსტრუქტორის ინიციალები წვრთნის დასრულებისას Instructor Signature when Training Complete	შემოწმება განხორციელდა Checked in: FFS H	უფროსი პილოტი ინსტრუქტორის ინიციალები შემოწმების დასრულებისას/Examiner initials when test completed
მანევრები/პროცედურები Manoeuvres / Procedures						
4.8 სხვა ავარიული პროცედურები შესაბამისი საფრენოსნო სახელმძღვანელოს მიხედვით/ Other emergency procedures as outlined in the appropriate Flight Manual	P	->	->			

წაწილი 5 — სახელსაწყო ფრენის პროცედურები (სრულდება IMC-ში ან იმიტირებულ IMC-ში)/ Section 5 - Instrument Flight Procedures (to be performed in IMC or simulated IMC)

5.1 სახელსაწყო აფრენა: სახელსაწყო ფრენაზე გადასვლა უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად მიწიდან მოწყვეტისთანავე /Instrument take-off: transition to instrument flight is required as soon as possible after becoming airborne	P*	->*	->*			
5.1.1 იმიტირებული ძრავის გამორთვა, დაზიანება გამგზავრების დროს/ Simulated engine failure during departure	P*	->*	->*		M*	
5.2 გამგზავრებისა და ჩამოსვლის მარშრუტებისა და ATC-ის ინსტრუქციების დაცვა/ Adherence to departure and arrival routes and ATC instructions	P*	->*	->*		M*	
5.3 მოლოდინის რეჟიმის პროცედურები/ Holding procedures	P*	->*	->*			
5.4 ILS შესვლები/მიახლოვებები CAT I გადაწყვეტილების მიღების სიმაღლეზე/ ILS approaches down to CAT I decision height	P*	->*	->*			
5.4.1 ხელით მართვა, საპილოტაჟე ბრძანების გამცემი მოწყობილობის გარეშე / Manually, without flight director	P*	->*	->*		M*	
5.4.2 რადიოლოკაციური სადგურის სიზუსტით შესვლა /მიახლოვება მართვის ხელით განხორციელებით, საპილოტაჟე ბრძანების გამცემი მოწყობილობით და მის გარეშე/ Precision approach manually, with or without flight director	P*	->*	->*		M*	
5.4.3 ავტოპილოტთან წყვილში/ With coupled autopilot	P*	->*	->*			
5.4.4 ხელით მართვით, ერთი ძრავის იმიტირებული უმოქმედობის პირობებში. (ძრავის გამორთვის /დაზიანების იმიტირება უნდა მოხდეს ბოლო შესვლისას /მიახლოვებისას, სანამ გადაუფრენს გარე მარკერს, მიწასთან შეხებამდე ან არასწორი შესვლის/მიახლოვების პროცედურის დასრულებამდე)/ Manually, with one engine simulated inoperative. (Engine failure has to be simulated during final approach before passing the outer marker (OM) until touchdown or until completion of the missed approach procedure)	P*	->*	->*		M*	
5.5 არაზუსტი შესვლა/მიახლოვება დაღმასვლის მინიმალურ ალტიტუდაზე / Non-precision approach down to the minimum descent altitude MDA/H	P*	->*	->*		M*	
5.6 მეორე წრეზე წასვლა ყველა ძრავის მოქმედების პირობებში, DA/DH-ის ან MDA/MDH-ის მიღწევისას/ Go-around with all engines operating on reaching DA/DH or MDA/MDH	P*	->*	->*			



განმცხადებლის სახელი, გვარი: Applicant's name(s):			უნარების/საკვალიფ. შემოწმების თარიღი: Skill test/ Proficiency check date:			
ერთპილოტიან /მრავალპილოტიან შვეულმფრენზე უნარების / საკვალიფიკაციო შემოწმების ფორმა Single-Pilot/Multy-Pilot Helicopter SKILL TEST/PROFICIENCY CHECK FORM		პრაქტიკული სწავლება Practical Training			უნარების შემოწმება /საკვალიფიკაციო შემოწმება Skill test or Proficiency Check	
მანევრები/პროცედურები Manoeuvres / Procedures						
5.6.1 სხვა არასწორი შესვლის/მიახლოების პროცედურები/ Other missed approach procedures		P*	->*	->*		
5.6.2 მეორე წრეზე წასვლა ერთი ძრავის იმიტირებული უმოქმედობის პირობებში DA/DH-ის ან MDA/MDH-ი მიღ- წვევისას/ Go-around with one engine simulated inoperative on reaching DA/DH or MDA/MDH		P*				M*
5.7 IMC ავტოროტაციის რეჟიმი სიმძლავრის აღდგენით/გამონაბოლქვი აირით ამომრავების საშუალებით / IMC autorotation with power recovery		P*	->*	->*		M*
5.8 უჩვეულო მდგომარეობიდან გამოსვლა/ Recovery from unusual attitudes		P*	->*	->*		M*
ნაწილი 6 — დამატებითი აღჭურვილობის გამოყენება/Section 6 - Use of Optional Equipment						
6. დამატებითი აღჭურვილობის გამოყენება Use of optional equipment		P	->	->		
სპეციალურად დატოვებული ცარიელი გრაფა / Intentionally left blank						